მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობა
GEORGIA, BOARD OF ADMINISTRATION OF MESTIA MUNICIPALITY

მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებლის
ბრძანება №323
2016 წლის 27 ივნისი
დ.მესტია

დაბა მესტიაში პროფესიული კოლეჯი „თეთნულდის“ ხანძრისგან გადამწვარი შენობის დემონტაჟის შესახებ

ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის, საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე–3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის მე–16 მუხლის მე–2 ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტის და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 72-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ს.ს.ი.პ პროფესიული კოლეჯი თეთნულდის 16.06.2016 წლის №59 წერილისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. მიეცეს ნებართვა ს.ს.ი.პ პროფესიული კოლეჯი „თეთნულდს“, განახორციელოს, დაბა მესტიაში ერეკლე ფარჯიანის №25-ში მდებარე პროფესიული კოლეჯი „თეთნულდის“ ხანძრისგან გადამწვარი შენობის დემონტაჟი (ს/კ:42.06.07.520).
2. სადემონტაჟო სამუშაოთა ეტაპები:
   I ეტაპი - დარჩენილი ყორე-ქვის კედლების და ტიხრების დემონტაჟი;
   II ეტაპი - საძირკვლების დემონტაჟი (ყორე ქვის).
3. სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა განისაზღვროს ნებართვის გაცემიდან 9 კვირის ვადაში.
4. მშენებლობა წარმოებულ იქნას „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებისა და სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტის შესაბამისად.
5. სადემონტაჟო სამუშაოებზე კონტროლი დაევალოს მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურს.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი. გრ. ქობალიას ქ. №12).

კაპიტონ ყორყოლიანი
მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ინდ: 3200.დ.მესტია
სეტის მოედანი N–1
gamgeobamestia@yahoo.com
ტელ: +995 591 05 92 38
ელ. ფოსტა: gamgeobamestia@rambler.ru
ვებგვერდი: www.mestia.ge